

შპს “როშენ ჯორჯია”

31 დეკემბერი 2021

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	i-iii
--------------------------------------	-------

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
3. კრიტიკული საბუღალტრო შეფასებები და გადანყვეტილებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას	11
4. ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	12
5. ძირითადი საშუალებები.....	14
6. აქტივი გამოყენების უფლებით	15
7. არამატერიალური აქტივები	15
8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	15
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
10. ფული და ფულის ექვივალენტები	17
11. სანესდებო კაპიტალი	17
12. ფინანსური ვალდებულებები.....	17
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
14. შემოსავლები რეალიზაციიდან.....	18
15. გაყიდვების თვითღირებულება.....	18
16. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი	18
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	19
18. უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი, წმინდა	19
19. მოგების გადასახადი.....	19
20. პირობითი ვალდებულებები.....	19
21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
22. ფინანსური რისკების მართვა.....	20
23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	23
24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „როშენ ჯორჯიას“ დამფუძნებლებს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „როშენ ჯორჯია“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს და წლის დასაწყისში ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრისათვის და 2021 წლის 1 იანვრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის და სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 2,404,837 ლარი (2020:1,546,882 ლარი) და 459,717 ლარის (2020:423,281 ლარი) ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც ნათქვამია, რომ კომპანიის საქმიანობა დამოკიდებულია მათი პროდუქციის ერთადერთ მომწოდებელ შპს „როშენ უკრაინაზე“, რომლის საწარმოო საქმიანობა ხორციელდება უკრაინაში, სადაც მიმდინარეობს სამხედრო მოქმედებები. კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული შემასუსტებულ ფაქტორებზე, რომლებიც მოცემულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს შპს „როშენის“ უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობით ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 30 ივნისს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობაა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში,

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავეგემოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 ივნისი 2022 წელი

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „როშენ ჯორჯიას“ დამფუძნებლებს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „როშენ ჯორჯია“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს და წლის დასაწყისში ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და სალაროში არსებული ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრისათვის და 2021 წლის 1 იანვრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის და სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 2,404,837 ლარი (2020:1,546,882 ლარი) და 459,717 ლარის (2020:423,281 ლარი) ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვესურს თქვენი ყურადღება გაავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც ნათქვამია, რომ კომპანიის საქმიანობა დამოკიდებულია მათი პროდუქციის ერთადერთ მომწოდებელ შპს „როშენ უკრაინაზე“, რომლის საწარმოო საქმიანობა ხორციელდება უკრაინაში, სადაც მიმდინარეობს სამხედრო მოქმედებები. კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული შემასუსტებელ ფაქტორებზე, რომლებიც მოცემულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს შპს „როშენის“ უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობით ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 30 ივნისს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეათავსოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში,

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვადასხვა ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 ივნისი 2022 წელი

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	267,022	329,813
აქტივი გამოყენების უფლებით	6	597,312	752,223
არამატერიალური აქტივები	7	8,514	12,633
სულ გრძელვადიანი აქტივები		872,848	1,094,669
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	1,546,882	2,407,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,076,861	1,487,996
ფული და ფულის ექვივალენტები	10	459,717	1,057,030
სულ მიმდინარე აქტივები		4,083,460	4,952,863
სულ აქტივები		4,956,308	6,047,532
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	620,129	620,129
გაუნაწილებელი მოგება		533,108	(57,857)
სულ კაპიტალი		1,153,237	562,272
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	506,582	642,080
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		506,582	642,080
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	0	2,741,626	4,430,960
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	141,063	115,728
სადაგასახადო ვალდებულებები	19	413,800	296,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,296,489	4,843,180
სულ ვალდებულებები		3,803,071	5,485,260
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,956,308	6,047,532

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

ივან შუსტაკი
დირექტორი

გიგო ჯავახიშვილი
მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს "როშენ ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	267,022	329,813
აქტივი გამოყენების უფლებით	6	597,312	752,223
არამატერიალური აქტივები	7	8,514	12,633
სულ გრძელვადიანი აქტივები		872,848	1,094,669
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	1,546,882	2,407,837
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,076,861	1,487,996
ფული და ფულის ექვივალენტები	10	459,717	1,057,030
სულ მიმდინარე აქტივები		4,083,460	4,952,863
სულ აქტივები		4,956,308	6,047,532
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	620,129	620,129
გაუნაწილებელი მოგება		533,108	(57,857)
სულ კაპიტალი		1,153,237	562,272
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	506,582	642,080
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		506,582	642,080
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	0	2,741,626	4,430,960
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	141,063	115,728
სადაგასახადო ვალდებულებები	19	413,800	296,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,296,489	4,843,180
სულ ვალდებულებები		3,803,071	5,485,260
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,956,308	6,047,532

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

ივან შუსტაკი
დირექტორი



გიგო ჯავახიშვილი
მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს “როშენ ჯორჯია”

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები რეალიზაციიდან	14	41,972,039	34,649,810
გაყიდვების თვითღირებულება	15	(35,397,298)	(29,309,138)
საერთო მოგება		6,574,741	5,340,672
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	16	(3,064,077)	(1,717,788)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,948,273)	(2,655,968)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		(7,877)	11,161
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება	9	17,977	97,024
საპროცენტო შემოსავალი	10	1,524	2,906
ფინანსური ხარჯი	12	(76,867)	(16,677)
უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი, წმინდა	18	93,817	(562,208)
მოგება დაბეგვრამდე		590,965	499,122
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		590,965	499,122
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		590,965	499,122

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

ივან შუსტაკი
დირექტორი

გიგო ჯავახიშვილი
მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს "როშენ ჯორჯია"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები რეალიზაციიდან	14	41,972,039	34,649,810
გაყიდვების თვითღირებულება	15	(35,397,298)	(29,309,138)
საერთო მოგება		6,574,741	5,340,672
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	16	(3,064,077)	(1,717,788)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,948,273)	(2,655,968)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		(7,877)	11,161
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება	9	17,977	97,024
საპროცენტო შემოსავალი	10	1,524	2,906
ფინანსური ხარჯი	12	(76,867)	(16,677)
უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი, წმინდა	18	93,817	(562,208)
მოგება დაბეგვრამდე		590,965	499,122
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		590,965	499,122
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		590,965	499,122

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

ივან შუსტაკი
დირექტორი

გიგო გვინაშვილი
შეამოწმა ფინანსური ოფიცერი



შპს “როშენ ჯორჯია”
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი		620,129	(556,979)	63,150
წლის შემოსავალი		-	499,122	499,122
2020 წლის 31 დეკემბერი		620,129	(57,857)	562,272
წლის მოგება		-	590,965	590,965
2021 წლის 31 დეკემბერი	11	620,129	533,108	1,153,237

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

 ივან შუსტაკი
 დირექტორი


 გიგო ჯავახიშვილი
 მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს "როშენ ჯორჯია"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი		620,129	(556,979)	63,150
წლის შემოსავალი		-	499,122	499,122
2020 წლის 31 დეკემბერი		620,129	(57,857)	562,272
წლის მოგება		-	590,965	590,965
2021 წლის 31 დეკემბერი	11	620,129	533,108	1,153,237

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:


 ივან შუსტაკოვი
 დირექტორი


 გიგო ჯაჭანიშვილი
 მთავარი ფინანსური ოფიცერი



შპს “როშენ ჯორჯია”
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2021	2020
წლის მოგება/(ზარალი):		590,965	490,122
კორექტირება:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი	9	(17,977)	(97,024)
ფინანსური ხარჯები	12	76,867	16,677
ფინანსური შემოსავლები		(1,524)	(2,905)
მოგება/ზარალი ძირ. საშუალებებისა გაყიდვიდან		(15,670)	-
ცვთა და ამორტიზაცია	5,6,7	394,469	432,569
უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი	18	(93,817)	562,208
<i>ზრდა შემცირება საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:</i>			
სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდა	8	860,955	(306,496)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	9	(571,011)	(863,349)
სავაჭრო და სხვა ვალდებულების შემცირება/(ზრდა)	0	(1,505,763)	754,921
საგადასახადო ვალდებულების შემცირება		117,307	155,566
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(165,197)	1,151,289
გადასახადების გადახდამდე			
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი პროცენტი		1,523	2,905
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(163,674)	1,154,194
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(183,579)	(67,714)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	5	26,600	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(156,979)	(67,714)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ცვლილება ფინანსურ ვალდებულებებში	12	(187,029)	(149,244)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(187,029)	(149,244)
წმინდა ზრდა/(კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		(507,682)	937,236
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	18	(89,631)	(128,389)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		1,057,030	248,183
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის		459,717	1,057,030

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

ივან შუსტაკი
 დირექტორი

გიგო ჯავახიშვილი
 მთავარი ფინანსური ოფიცერი

შპს "როშენ ჯორჯია"

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2021	2020
წლის მოგება/(ზარალი):		590,965	490,122
კორექტირება:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი	9	(17,977)	(97,024)
ფინანსური ხარჯები	12	76,867	16,677
ფინანსური შემოსავლები		(1,524)	(2,905)
მოგება/ზარალი ძირ. საშუალებებისა გაყიდვიდან		(15,670)	-
ცვთა და ამორტიზაცია	5,6,7	394,469	432,569
უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი	18	(93,817)	562,208
ზრდა შემცირება საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:			
სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდა	8	860,955	(306,496)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	9	(571,011)	(863,349)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება/(ზრდა)	0	(1,505,763)	754,921
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		117,307	155,566
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(165,197)	1,151,289
გადასახადების გადახდამდე			
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი პროცენტი		1,523	2,905
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(163,674)	1,154,194
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(183,579)	(67,714)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	5	26,600	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(156,979)	(67,714)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ცვლილება ფინანსურ ვალდებულებებში	12	(187,029)	(149,244)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(187,029)	(149,244)
წმინდა ზრდა/(კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		(507,682)	937,236
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	18	(89,631)	(128,389)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		1,057,030	248,183
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის		459,717	1,057,030

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

ივან შუსტაკი
დირექტორი



გიგო ჯავახიშვილი
მთავარი ფინანსური ოფიცერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “როშენ ჯორჯია” (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით 2017 წლის ნოემბერს (ს/კ.400223904), სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლაძის ქ., N40/დიდი ლილო, თეთრი ხევის დასახლება.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტკბილეულის იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია „როშენ ნორდი“ 2020 წლიდან. თავის მხრივ „შპს როშენ ნორდის“ მფლობელი არის სააქციო საზოგადოება „კონდიტერინვესტი“ სარეგისტრაციო ნომერი 36633361. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი არის ვიაჩესლავ მოსკალევესკი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია დამოკიდებულია მათი პროდუქციის ერთადერთ მიმწოდებელ შპს როშენ უკრაინაზე, რომლის საწარმოო საქმიანობა განლაგებულია უკრაინაში, სადაც სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს. კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა, დიდად არის დამოკიდებული შემასუსტებული ფაქტორების ეფექტურობაზე.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მატერიალური გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს შპს „როშენ ჯორჯიას“ შესაძლებლობებზე, გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით შეცვლილი არ არის.

ქვემოთ მოცემულია გეგმა, თუ როგორ გეგმავს მენეჯმენტი ფუნქციონირებადობის გაურკვევლობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას:

- კომპანიის ხელმძღვანელობამ შეამცირა საოპერაციო ხარჯები 2022 წელს;
- შემუშავდა პროდუქციის მიწოდების ახალი მარშრუტი, რათა კომპანიამ შეძლოს პროდუქციის უწყვეტი მიწოდება.
- დედა კომპანიამ შეიმუშავა გაყიდვებისა და მიწოდების ახალი გეგმა ქართულ ბაზარზე
- იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივ შვილობილ კომპანიაში სარეალიზაციო მარაგის მოწოდებას შეეწყნება საფრთხე, კომპანიას აქვს მოწოდების ალტერნატიული საწარმო, რომელიც მდებარეობს უნგრეთში. რაც უზრუნველყოფს პროდუქციის შეუფერხებელ მიწოდებას ქართულ ბაზარზე.

გემოაღნიშნული გეგმა შეამცირებს გაურკვევლობას მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

თანხების დამრგვალება

თანხები მრგვალდება უახლოეს ერთეულამდე.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს საქონელზე გადასცემს კონტროლს საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

პროცენტის შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ყველა სესხის ინსტრუმენტზე, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყველა სხვა საფასური, საკომისიო და სხვა შემოსავლები და ხარჯები, ძირითადად აღირიცხება დარიცხვის საფუძველზე, კონკრეტული გარიგების დასრულების სტადიის გათვალისწინებით,

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის შესაბამის საწარმოს ფუნქციურ ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი მიიჩნევა მოგებად ან ზარალად (გარდა სრული მოგების ფულად ნაკადებად ჰეჯირებისა).

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში, გაანგარიშდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი ნივთები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში (მაგ.

**შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში**

გასაყიდად ხელმისაწვდომი სააქციო ინსტრუმენტები) წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მომენტისთვის არსებული გაცვლითი სავალუტო კურსის შესაბამისად.

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით.

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება

ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. ქვემოთ მოცემული სავარაუდო სასიცოცხლო ციკლების გათვალისწინებით:

სასარგებლო მომს. წლების განმავლობაში

საოფისე ინვენტარი	3 წელი
ავტო	2-5 წელი
მარკეტინგული ინვენტარი	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებითი ღირებულება რასაც კომპანია მიიღებდა მისი გაყიდვიდან შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით ისე თითქოს აქტივი ყოფილიყო იმ წლოვანების რაც განსაზღვრულია მისი გამოყენების დასრულების დროს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადების, ნარჩენი ღირებულებებისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდის გადახედვა, აღრიცხული შეფასებების ცვლილების შედეგის პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ტარდება არანაკლებ დაგროვილი ამორტიზაციისთვის. კომპანიაში წარმოშობილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული განვითარების ხარჯების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გაწეულ იქნა ეს დანახარჯები.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურეობის ვადა არის შემდეგია: 1-დან 5-წლამდე. განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური

აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რევერსის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რევერსის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რევერსს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მაძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რევერსი არის ფინანსური აქტივის არსებობის მაძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია დებიტორული დავალიანების გაუფასურების გაანგარიშებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

- *სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)* ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი
- წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური პეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- *სხვა ფინანსური ვალდებულებები* ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხორციელდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების გათვალისწინებით.

და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

3. კრიტიკული საბუღალტრო შეფასებები და გადაწყვეტილებები საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ.

მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო პერიოდში გაკეთებული შეფასებები გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლის გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დატკეფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელ გაყიდვებს და ისტორიულ გამოცდილებებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. გაუფასურების დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დაძველების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სასაქონლო მატერიალური მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვლილისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზარდა როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

საიტარო ვადა. საიტარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიტარო ვალდებულებების გაზომვაში.

მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიტარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიტარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიტარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიტარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოფციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთი - თუ საპროცენტო განაკვეთი საიტარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთის დაანგარიშება ხდება მომავალი საიტარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიტარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

4. ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიტარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2021 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).
- მენეჯმენტის შეფასების აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს “როშენ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშგების გამართებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

5. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი	სარეკლამო აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აღჭურვილობა	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	71,611	53,205	528,148	162,694	35,444	851,102
დამატება	2,831	2,881	42,741	19,114	147	67,714
გასვლა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	74,442	56,086	570,889	181,808	35,591	918,816
დამატება	4,275	-	36,570	104,534	38,200	183,579
გასვლა	-	-	-	(26,600)	-	(26,600)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	78,717	56,086	607,459	259,742	73,791	1,075,795
დაგროვილი ცვეთა:						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,443	17,362	205,806	41,802	10,031	300,444
ცვეთის ხარჯი	14,215	4,719	227,871	33,118	8,636	288,559
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,658	22,081	433,677	74,920	18,667	589,003
ცვეთის ხარჯი	14,901	4,990	166,891	39,713	8,945	235,440
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	(15,670)	-	(15,670)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,559	27,071	600,568	98,963	27,612	808,773
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	46,168	35,843	322,342	120,892	25,413	550,658
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	34,784	34,005	137,212	106,888	16,924	329,813
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,158	29,015	6,891	160,779	46,179	267,022

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

6. აქტივი გამოყენების უფლებით

	ოფისი/საწყობი	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	173,657	173,657
დამატება		
მოდულიზაცია	735,591	735,591
ცვეთის ხარჯი	(157,025)	(157,025)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	752,223	752,223
დამატება	-	-
ცვეთის ხარჯი	(154,911)	(154,911)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	597,312	597,312

საიტარო ხელშეკრულებები ოფისზე და საწყობზე დადებულია ავტომატური განახლების შესაძლებლობით, კომპანიის მენეჯმენტმა გაახანგრძლივა სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდი 5 წლით.

7. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,409	16,347	24,756
შესყიდვა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,409	16,347	24,756
შესყიდვა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,409	16,347	24,756
აკუმულირებული ამორტიზაცია			
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,719	6,772	8,491
ამორტიზაცია	1,348	2,284	3,632
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,067	9,056	12,123
ამორტიზაცია	1,529	2,590	4,119
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,596	11,646	16,242
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,690	9,575	16,265
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,342	7,291	12,633
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,813	4,701	8,514

ლიცენზიები წარმოადგენს დამატებით მომსახურებისთვის განკუთვნილ პროგრამულ უზრუნველყოფას.

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2021
მზა პროდუქცია	1,395,250	2,307,972
საწვავი	13,495	10,662
სხვა ინვენტარი	138,137	89,203
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,546,882	2,407,837

შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2021
კანფეთი	893,451	1,326,955
შოკოლადი	150,915	249,639
ვაფლი	253,559	419,428
ორცხოვნილა	248,957	411,815
მზა პროდუქცია	1,546,882	2,407,837

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები არ არის დაგირავებული.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებისგან და მომსახურებისგან	1,817,948	1,395,921
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი	(22,084)	(40,061)
სავაჭრო მოთხოვნები, წმიდნა	1,795,864	1,355,860
გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები	146,601	127,076
სხვა მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	134,395	5,061
ავანსების ანარიცხი	280,996	132,137
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმიდა	2,076,860	1,487,997

სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებისგან და მომსახურებისგან:

	დარეზერვების განაკვეთი		საბალანსო ღირებულება		გაუფასურების რეზერვი	
	2021	2020	2021	2020	2021	2020
	%	%	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
0-დან 1 თვემდე	0.66 %	1.24 %	1,540,852	1,242,667	(10,217)	(15,417)
1-დან 3 თვემდე	0.76 %	1.43 %	142,977	109,696	(1,086)	(1,569)
3-დან 6 თვემდე	1.04 %	1.92 %	21,437	9,998	(224)	(191)
6-დან 12 თვემდე	4.59 %	8.05 %	107,033	11,610	(4,908)	(935)
12 თვეზე მეტი	100 %	100 %	5,649	21,950	(5,649)	(21,949)
სულ			1,817,948	1,395,921	(22,084)	(40,061)

მიწოდებული მომსახურებით მიღებული დებიტორული დავალიანების დაანგარიშებაში კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღიარებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალს. რეზერვის მატრიცა გამოითვლება 2021 წლის საანგარიშო წლის ისტორიული ზარალის მაჩვენებლების საფუძველზე.

მოკლევადიანი საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება შემდეგია:

	საეჭვო და სხვა მოთხოვნების რეზერვი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	137,085
დამატებითი რეზერვის აღიარება	(97,024)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40,061
რეზერვის შემცირება	(17,977)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,084

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	362,070	423,218
ფული საბანკო ანგარიშებზე	97,647	633,812
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	459,717	1,057,030

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

ფული და ფულის ექვივალენტებს განთავსებულ საქართველოს ბანკში ერიცხება საპროცენტო სარგებელი 3% ის ოდენობით ყოველ კვარტალურად. ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 2021 წელს 2,906 ლარი, ხოლო 2020 წელს 2,403 ლარი

11. სანესდებო კაპიტალი

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 620,230 ლარს, რომელც განხორციელებულია ფულადი შენატანების სახით.

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	620,129
დამატებითი შენატანი	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	620,129
დამატებითი შენატანი	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	620,129

12. ფინანსური ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	141,063	115,728
გძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	506,582	642,080
სულ	647,645	757,808

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 იანვრის მდგომარეობით	757,808	171,461
ფინანსური ხარჯი	76,867	16,677
გადახდები	(187,030)	(188,695)
მოდიფიკაცია	-	758,365
საიჯარო ვალდებულება	647,645	757,808
მინიმალური საიჯარო გადახდა	800,026	987,058
სრული საიჯარო გადახდები	800,026	987,058
მომავალი ფინანსური ხარჯი	(152,381)	(229,250)
სულ საიჯარო ვალდებულება	647,645	757,808

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მინიმალური საიჯარო გადახდები		
ერთ წლამდე	198,615	192,597
1 დან 5 წლამდე	601,411	794,461
შემცირება: ფინანსური ხარჯი	(152,381)	(229,250)
სულ საიჯარო ვალდებულება	647,645	757,808

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	2,471,582	4,288,159
მიღებული ავანსები	168,252	34,747
გადასახდელი ხელფასები	101,792	108,054
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,741,626	4,430,960

14. შემოსავლები რეალიზაციიდან

	2021	2020
შემოსავლები რეალიზაციიდან	41,972,039	34,649,810
სულ შემოსავლები	41,972,039	34,649,810

გაყიდული პროდუქცია კატეგორიების მიხედვით

	2021	2020
კანფეტი	22,496,637	18,339,156
შოკოლადი	7,411,931	3,887,525
ვაფლი	7,405,760	6,268,454
ორცხობილა	4,657,711	6,154,675
სულ	41,972,039	34,649,810

15. გაყიდვების თვითღირებულება

	2021	2020
მზა პროდუქციის თვითღირებულება	35,397,298	29,309,138
სულ გაყიდვების თვითღირებულება	35,397,298	29,309,138

მზა პროდუქცია კატეგორიების მიხედვით

	2021	2020
კანფეტი	18,819,843	15,582,923
შოკოლადი	3,828,704	3,170,186
ვაფლი	6,432,756	5,326,354
ორცხობილა	6,315,995	5,229,675
სულ	35,397,298	29,309,138

16. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2021	2020
მარკეტინგული ხარჯი	2,359,714	1,280,110
საწვავის ხარჯი	418,787	277,739
ტრანსპორტის ხარჯი	177,937	114,906
შეფუთვის ხარჯი	33,933	37,902
სხვა ხარჯი	73,706	7,131
სულ გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი	3,064,077	1,717,788

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	2,199,882	1,930,564
საპენსიო ხარჯი	37,008	32,201
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	394,469	432,569
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	86,716	76,935
კომუნალური ხარჯი	20,979	18,424
საგადასახადო ხარჯი	10,025	15,096
მივლინების ხარჯი	15,142	12,547
სანვავის ხარჯი	15,678	6,868
სხვა ხარჯი	168,374	130,764
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2,948,273	2,655,968

18. უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული ზარალი, წმინდა

	2021	2020
უცხოური სავალუტო გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)	93,817	(562,208)
წმინდა სავალუტო ოპერაციების მოგება	93,817	(562,208)

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ექვივალენტები	(89,631)	(128,389)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(123)	4,709
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	183,571	(438,528)
სულ	93,817	(562,208)

19. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები კორპორაციული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ, (ცნობილი, როგორც კორპორაციული საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვითაც, დაბეგვრის მომენტი არის შემოსავლის მიღებიდან მის განაწილებამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

20. პირობითი ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია პირობითი ვალდებულებები

21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო ,დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას:

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის

დაკავშირებულ მხარედ თუ:

- ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- არის ანგარიშვალდებულ საწარმოს ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის

- ხელმძღვანელობის წევრი.

ბ). საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის საკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო ან ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები(რაც იმას ნიშნავს რომ, სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავოს საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებულთა საწარმოს ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარისდაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული პირი თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა.
- ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთბლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება.
- პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ეს საწარმო ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მართველობით მომსახურებას.

ტრანზაქციები მფლობელ კომპანიასთან	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადახდილი ავანსი	-	20,315
მიღებული ავანსი	103,544	15,308
სავაჭრო ვალდებულებები	1,588,090	3,589,181
მენეჯმენტის კომპენსაცია	2021	2020
ხელფასი	294,835	212,047

22. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობისას კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა, იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი არ დაფარავს სესხს მთლიანად ან ნაწილობრივ ან არ დაფარავს დროულად, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი გამოწვეული ფინანსური ზარალის გარკვეულ საფრთხეს, რაც გამოწვეული იქნება ვალდებულებების შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საკრედიტო პირობებით პროდუქციის რეალიზაციიდან და მეორე მხარესთან განხორციელებული ტრანზაქციებიდან, რომლებიც იწვევს კომპანიის ფინანსური აქტივების ზრდას. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აქტივების კლასის მიხედვით აისახება ბალანსში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ექვივალენტები	459,717	1,057,030
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,930,259	1,360,921

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცდილ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცდილების დონე: ნაკლები 30 დღეზე, 31-60 დღე, 61-90 დღე, 91-180 დღე და 180 დღეზე მეტი. მოსალოდნელი საკრედიტო რისკის პროცენტულობა დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო რისკის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

მოსალოდნელი საკრედიტო რისკის პროცენტულობა დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო რისკის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 წელზე ნაკლები	1 - 3 წელი	3 - 5 წელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	459,717	-	-	459,717
სავაჭრო მოთხოვნები	1,930,259	-	-	1,930,259
სულ	2,389,976	-	-	2,389,976
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,573,374	-	-	2,573,374
ფინანსური ვალდებულება	141,063	506,582	-	647,645
სულ	2,714,437	506,582	-	3,221,019
წმინდა პოზიცია	(324,461)	(506,582)	-	(831,043)

უარყოფითი ლიკვიდურობის ძირითადი მიზეზი არის ვალდებულებები დედა კომპანიის მიმართ. მენეჯმენტის შევასებით უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია არ წარმოშობს ფუნქციონირებადი საწარმოს რისკს.

შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წელზე ნაკლები	1 - 3 წელი	3 - 5 წელი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,057,030	-	-	1,057,030
სავაჭრო მოთხოვნები	1,360,921	-	-	1,360,921
სულ	2,417,951	-	-	2,417,951
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	115,728	642,080	-	757,808
ფინანსური ვალდებულება	4,396,213	-	-	4,396,213
სულ	4,511,941	642,080	-	5,154,021
წმინდა პოზიცია	(2,093,990)	(642,080)	-	(2,736,070)

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი.

კომპანიას არ გააჩნია მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტები რომ გავლენა მოახდინა საპროცენტო რისკების შეფასებას .

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს,

რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დოლარი	ევრო	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	105,390	-	105,390
სავაჭრო მოთხოვნები	908	-	908
სულ	106,298	-	106,298
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,588,450	-	1,588,450
სულ	1,588,450	-	1,588,450
წმინდა პოზიცია	(1,482,152)	-	(1,482,152)

შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

ფინანსური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დოლარი	ევრო	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4,06	-	4,06
სავაჭრო მოთხოვნები	21,427	-	21,427
სულ	21,431,06	-	21,431,06
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3,773,050	-	3,773,050
სულ	3,773,050	-	3,773,050
წმინდა პოზიცია	(3,751,623)	-	(3,751,623)

სავალუტო რისკის წმინდა გავლენა მოგება/ზარალზე და დაგროვილ ზარალზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(148,215)	(148,215)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	148,215	148,215

სავალუტო რისკის წმინდა გავლენა მოგება/ზარალზე და დაგროვილ ზარალზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(375,162)	(375,162)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	375,162	375,162

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ასახავს მათ სამართლიან ღირებულებას.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს

სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც დაჭგუფებულია 1-3 დონეებად.

აღნიშნული დონეები შემუშავებულია იმისთვის, რომ განისაზღვროს, რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

დონე 1: კოტირებული ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელზეც სუბიექტს შეუძლია წვდომა მოცემულ დღეს.

დონე 2: ფასები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის 1 დონეში, რომლებიც არის განსაზღვრებადი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ.

დონე 3: აქტივების ან ვალდებულებების განუსაზღვრელი მონაცემები.

შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური ანგარიშგების გამარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ქართულ ლარში

2021	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	459,717	-	-	459,717
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,930,259	1,930,259
სულ	459,717	-	1,930,259	2,389,976
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	2,573,374	2,573,374
ფინანსური ვალდებულებები			647,645	647,645
სულ	-	-	3,221,019	3,221,019

2020	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,057,030	-	-	1,057,030
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,360,921	1,360,921
სულ	1,057,030	-	1,360,921	2,417,951
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	4,396,213	4,396,213
ფინანსური ვალდებულებები	-	-	757,808	757,808
სულ	-	-	5,154,021	5,154,021

24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები დაიწყო. კომპანიის ერთადერთი მიმწოდებელი არის როშენ უკრაინა, რომლის საწარმოო საქმიანობა რისკის ქვეშ იმყოფება. როშენ უკრაინის მენეჯმენტმა განახორციელა რიგი ქმედებები რისკების შესამცირებლად :

- შემუშავდა პროდუქციის მიწოდების ახალი მარშრუტი, რათა კომპანიამ შეძლოს პროდუქციის უპრობლემოდ მიწოდება
- გადაუდებელ შემთხვევაში დედა კომპანიას აქვს ქარხანა უნგრეთში, რათა კომპანიამ შეძლოს საწარმოო აქტივობა გადაიტანოს და მზა პროდუქცია მიაწოდოს საქართველოს ბაზარს.

შპს როშენ ჯორჯია მმართველობითი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	i-iii
--------------------------------------	-------

1.ინფორმაცია კომპანიის შესახებ	1
2.ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ფინანსური მაჩვენებლები	2
3.ორგანიზაციული განვითარების გეგმები	3
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	3
5.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:.....	3
6.რისკები	4
7. მატერიალური გაურკვევლობა	5

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს როშენ ჯორჯიას მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.


ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2022 წლის 30 ივნისი

RSM Georgia



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს როშენ ჯორჯიას მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2022 წლის 30 ივნისი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „როშენ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ივან შუსტაკი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული კვების პროდუქტების (ტკბილეულის) დისტრიბუცია და ლოჯისტიკა. კომპანიას აქვს საკუთარი ავტოპარკი და იჯარით აღებული სასაწყობო ფართები თბილისში. კომპანია პროდუქციის დისტრიბუციას თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში ახორციელებს საკუთარი და იჯარით აღებული ავტომანქანებით, ხოლო დასავლეთ საქართველოში - ქვედისტრიბუტორების საშუალებით. აჭარის რეგიონში ქვედისტრიბუტორია შპს „ფუდსერვისი“, ხოლო დანარჩენ რეგიონში შპს „ირ ჯორჯია“. კომპანიას ასევე ჰყავს ქვედისტრიბუტორი კორპორატიული კლიენტებისთვის - შპს მოდერნ თრეიდ ჯგუფი-ემთიჯი“. კომპანიის შემოსავლების 99%-ზე მეტი მოდის საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე. კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2021	2020
შემოსავლები რეალიზებული პროდუქციიდან	41,972,039	34,649,810

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის კორპორატიული ქსელებზე, საცალო მაღაზიებზე. კორპორატიულ ქსელებზე რეალიზაცია მუდმივად იზრდება რისი ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არის საცალო მაღაზიებზე გაყიდვების შემცირება. დასავლეთ საქართველოში მომარაგება ხორციელდება რეგიონალური ლოჯისტიკური ცენტრების დახმარებით (ქუთაისი, ბათუმი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მომარაგება ხორციელდება ცენტრალური საწყობიდან. კომპანიას არ აქვს საცალო გაყიდვის წერტილები. ცენტრალური საწყობი და ლოჯისტიკური ცენტრი ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჩანტლადის ქუჩა N40.

შემოსავლები პროდუქტების მიხედვით	2021	2021
კანფეტი	22,496,637	18,339,156
შოკოლადი	7,411,931	3,887,525
ვაფლი	7,405,760	6,268,454
ორცხობილა	4,657,711	6,154,675
სულ	41,972,039	34,649,810

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის დირექტორია ივან შუსტაკი. დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორი შესაბამისი გადაწყვეტილებებით. კომპანია იმართება რეგისტრირებული დირექტორის მიერ, რომელიც წარმოადგენს კომპანიას მესამე პირებთან ურთიერთობისას.

პარტნიორის თანხმობაა საჭირო გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლის გარეშე დირექტორი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას. ეს საკითხებია:

- ა) უძრავი ქონების შეძენა-გასხვისება;
- ბ) საზოგადოების საქმიანობის მიმართულებებისა და სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრა, წარმოების სხვადასხვა სახეების დაწყება და შეწყვეტა;
- გ) პარტნიორის შესატანის გადახდის მოთხოვნა; საზოგადოებაში ახალი პარტნიორის შემოყვანა;
- დ) კაპიტალის ნებისმიერი ცვლილება (გაზრდა ან შემცირება); პარტნიორის დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;
- ე) აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევა; წლიური ფინანსური აუდიტის დასკვნის დამტკიცება;
- ვ) გადაწყვეტილებების მიღება დირექტორის, ან ცალკეული პარტნიორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ; ამ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნა.
- ზ) ნებისმიერი დირექტორის საქმიანობის კონტროლი და ამ მიზნით ნებისმიერი დირექტორისაგან ნებისმიერ დროს საზოგადოების საქმიანობის სრული ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა;
- თ) ნებისმიერი დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, მასთან კონტრაქტის დადება და შეწყვეტა.
- ი) ინვესტიციების განხორციელება.
- კ) საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება;
- ლ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა (საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავიძრავი ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვა);
- მ) საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში ცვლილება არ მოხდა შპს „როშენ ჯორჯიას“ მფლობელებს შორის.

წილობრივი გადანაწილება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

მეწილე

2021 წლის 31 დეკემბერი

შეზღუდული პასუხისმგებლობა როშენ ნორდ / ლიეტუვა/

100%

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 34,649,810 ლარი, ხოლო 2021 წლის 41,972,039 ლარს. არსებული მატება ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კომპანიამ გამომდინარე გაზრდილი ხარჯების საპასუხოდ გაზარდა სარეალიზაციო ფასები. აქედან გამომდინარე მოგების მარჯა შენარჩუნდა წინა წლის დონეზე. 2020-2021 წლებში მოგების მარჯა შენარჩუნდა 15 %-ის ფარგლებში/

	2021	2020
შემოსავლები რეალიზებული პროდუქციიდან	41,972,039	34,649,810
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	35,397,298	29,309,138
სულ მთლიანი აქტივები	4,956,308	6,047,532

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „როშენ ჯორჯია“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 59 დან 62-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. როგორც დამქირავებელი, შპს „როშენ ჯორჯია“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები: კომპანიას ექსკლუზიური ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მშობელ საწარმო საკონდიტრო კორპორაცია როშენთან უკრანაინასთან (როშენ ნორდი) რომლის პროდუქციის დისტრიბუციაც ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. რაც შეეხება კლიენტებს კომპანიისთვის მინიშნულოვან კლიენტურას წარმოადგენს ქსელური მაღაზიები როგორიცაა „კარფური“, „გუდვილი“, „ნიკორა“, „ფუდმარტი“, „ორი ნაბიჯი“, „სმარტი“, და „ზღაპარი“. ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. ორგანიზაციული განვითარების გეგმები

2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია ახალი ბაზრის კვლევები.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

6. რისკები

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG სექტორის რეგულირებადი ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული FMCG სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში. საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 ივნისს.

7. მატერიალური გაურკვევლობა

კომპანია დამოკიდებულია მათი პროდუქციის ერთადერთ მიმწოდებელ შპს როშენ უკრაინაზე, რომლის საწარმოო საქმიანობა ხორციელდება უკრაინაში, სადაც სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს. კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, დიდად არის დამოკიდებული შემამსუბუქებელი ფაქტორების შესრულებაზე.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მატერიალური გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს „როშენის ჯორჯიას“ უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა.

ქვემოთ მოცემულია გეგმა, თუ როგორ გეგმავს მენეჯმენტი გაურკვევლობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას:

- კომპანიის ხელმძღვანელობამ შეამცირა საოპერაციო ხარჯები 2022 წელს;
- შემუშავდა პროდუქციის მიწოდების ახალი მარშრუტი, რათა კომპანიამ შეძლოს პროდუქციის უპრობლემოდ მიწოდება
- დედა კომპანიამ შეიმუშავა გაყიდვებისა და მიწოდების ახალი გეგმა ქართულ ბაზარზე
- გადაუდებელი შემთხვევების შემთხვევაში დედა კომპანიას აქვს ქარხანა უნგრეთში, რათა კომპანიამ შეძლოს საწარმოო აქტივობა ამ ქვეყნებში გადაიტანოს და მზა პროდუქცია მიიწოდოს საქართველოს ბაზარს.

ზემოაღნიშნული გეგმა შეამცირებს გაურკვევლობას მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით.

ივან შუსტაკი

დირექტორი

გიგო ჯავახიშვილი

მთავარი ბუღალტერი

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 ივნისს.

7. მატერიალური გაურკვევლობა

კომპანია დამოკიდებულია მათი პროდუქციის ერთადერთ მიმწოდებელ შპს როშენ უკრაინაზე, რომლის საწარმოო საქმიანობა ხორციელდება უკრაინაში, სადაც სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს. კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, დიდად არის დამოკიდებული შემამსუბუქებელი ფაქტორების შესრულებაზე.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მატერიალური გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს „როშენის ჯორჯიას“ უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. გემოლნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა.

ქვემოთ მოცემულია გეგმა, თუ როგორ გეგმავს მენეჯმენტი გაურკვევლობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას:

- კომპანიის ხელმძღვანელობამ შეამცირა საოპერაციო ხარჯები 2022 წელს;
- შემუშავდა პროდუქციის მიწოდების ახალი მარშრუტი, რათა კომპანიამ შეძლოს პროდუქციის უპრობლემოდ მიწოდება
- დედა კომპანიამ შეიმუშავა გაყიდვებისა და მიწოდების ახალი გეგმა ქართულ ბაზარზე
- გადაუდებელი შემთხვევების შემთხვევაში დედა კომპანიას აქვს ქარხანა უნგრეთში, რათა კომპანიამ შეძლოს საწარმოო აქტივობა ამ ქვეყნებში გადაიტანოს და მზა პროდუქცია მიაწოდოს საქართველოს ბაზარს.

გემოლნიშნული გეგმა შეამცირებს გაურკვევლობას მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით.

ივან შუსტაკი

დირექტორი

გიგო ჭავჭავაძე

მთავარი ბუღალტერი

